ხელშეკრულება № 20

დ. ჩხოროწყუ 8 ივნისი, 2016 წელი

ერთის მხრივ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი გამგებლის პირველი მოადგილის - გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გოჩა ჩიქოვანის სახით (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ, სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ჭოღის თემის საჯარო სკოლა, წარმოდგენილი სკოლის დირექტორის ჯემალ შენგელიას სახით (შემდგომში „შემსრულებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ჭოღის თემის საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის ეზოს შემოღობვის სამუშაოების შესრულება.

1.2 დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს თანხა 2000 (ორი ათასი) ლარი სუბსიდიის სახით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული სამუშაო.

2.2 დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს გადაუხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 8 ივნისიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 ივლისამდე.

4. ანგარიშწორების წესი და პირობები

4.1 დამკვეთი ვალდებულია შესასრულებელი სამუშაოსათვის გადაუხადოს თანხა შემსრულებელს სამუშაოს შესრულების თაობაზე შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. დასკვნითი პირობები

5.1 საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით, განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

5.2 ხელშეკრულება იდება სამ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსრულებელს, ხოლო ორი ინახება დამკვეთთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

გამგებლის მ/შ ----------/გ. ჩიქოვანი/

მის: დ. ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1

საიდენტიფიკაციო კოდი: 242268791

შემსრულებელი

სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის

ქოლის თემის საჯარო სკოლა

დირექტორი

---------- /ჯ.შენგელია/

ს.ს„ ლიბერთი ბანკის“ ჩხოროწყუს ფილიალი

ანგ/N:GE10LB0121198307085000

საიდენტიფიკაციო კოდი:242262920